**განმარტებითი ბარათი**

**„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმის შესახებ**

**საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის** თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით მოლაპარაკებები დასრულდა 2025 წლის 17 სექტემბერს, ხოლო იმავე წლის 4 ნოემბერს ხელი მოეწერა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განახლების შესახებ მოლაპარაკებების დასრულების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმება, „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ", რომლის განახლებაზეც დასრულდა მოლაპარაკებები ხელმოწერილია 2017 წლის 13 მაისს.

„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" 2017 წლის 13 მაისის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ოქმის მიზანია შეთანხმებაში ზოგადი დებულებების სახით არსებული თანამშრომლობის სფეროების შემდგომი კონკრეტიზაცია და ასევე 2 ახალი თავის დამატება, კერძოდ:

1. შეთანხმების მე-5 თავი „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები" ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კერძოდ, მხარეთა შორის ამ სფეროში თანამშრომლობის გამარტივების მიზნით იქმნება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტი („SPS ქვეკომიტეტი"), რასაც შეთანხმების ამჟამად არსებული ტექსტი არ ითვალისწინებს. ამასთან, ახლებურად ჩამოყალიბდა ექვივალენტობასთან დაკავშირებული ნორმები. ოქმით გათვალისწინებული დანართი N1.

2. მხარეთა შორის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემდგომი გამარტივების მიზნით, შეთანხმების მე-6 თავი „ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში" (TBT) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ოქმით გათვალისწინებული დანართი N2.

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, შეთანხმებას დაემატა ოქმით გათვალისწინებული დანართი N3 (შეთანხმებაში თავი 18 „ინვესტიცია"), რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციების სფეროს მხარდამჭერ ზომებს.

4. ელექტრონული კომერციით გათვალისწინებული ეკონომიკური ზრდისა და შესაძლებლობების გაძლიერების, ასევე ელექტრონული კომერციის გამოყენებისა და განვითარებისთვის ბარიერების აღმოფხვრის მიზნით, შეთანხმებას ასევე დაემატა

ელექტრონული კომერციის სფერო ოქმის N4 დანართის სახით (შეთანხმებაში თავი 19 „ელექტრონული კომერცია“).

შეთანხმების განახლება ხელს შეუწყობს მხარეებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები (TBT), ინვესტიციების ხელშეწყობა  და ელექტრონული კომერცია.

ცვლილების ოქმი არ გამოიწვევს საკანონმდებლო ცვლილებებს და ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

პროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო წარმდგენი საქართველოს მთავრობა.